საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9501/01
06/10/2020

9501-01-2-202010061320

შპს „ნათს ინქორფორეითიდს“

მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი,
გიორგი მიროტაძის ქ., N 1ა,ბ. 43

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 28 სექტემბრის N 15221 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში სამელიორაციო სისტემის, წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ინფორმაცია სამელიორაციო სისტემის მოსაწყობად გამოსაყენებელი მილსადენების დიამეტრის და სიგრძის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მილსადენების გაყვანის სქემა;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ერთ ძირ ნერგს საშუალოდ 50-60 ლ წყალი ესაჭიროება, ხოლო წლიურად დაგეგმილია 300000 $მ^3$ წყლის გამოყენება. დაზუსტებას საჭიროებს 1 ჰა-ზე გამოყენებული წყლის რაოდენობა;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ნუშის ბაღის მორწყვა დაგეგმილია ძირითადად ზაფხულის სეზონზე (ივნისი, ივლისი, აგვისტო). სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იგეგმება თუ არა მორწყვა წლის სხვა თვეებში, თვეში რა ჯერადობით და რაოდენობით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, წყლის აღება იგეგმება შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სარწყავი არხიდან (N81.00.886), რომელიც განთავსებულია ნაკვეთების განაპირა საზღვრიდან დაახლოებით 530 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ნაკვეთის კიდიდან სამელიორაციო არხამდე მანძილი დაახლოებით 380 მ-ს შეადგენს, შესაბამისად საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- ინფორმაცია წყლის სატუმბი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესახებ, მათ შორის დაზუსტებას საჭიროებს რა რესურსის გამოყენებაა საჭირო ტუმბოს მუშაობისთვის (ელექტროენერგია თუ სხვა);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია შპს „ნათს ინქორფორეითიდ“-ის საკუთრებაში არსებული 328188 $მ^2$ ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N81.11.05.937). ამასთან წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ამონაწერი. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ არსებული ტერიტორიის ფართობია 228188 $მ^2$, ხოლო სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილია ძველი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ძველი საკადასტრო კოდით). დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მიწის ნაკვეთის ფართობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ნათს ინქორფორეითიდს“ უზრუნველყოფს სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე